



საქართველოს  
სახალხო დამცველი  
PUBLIC DEFENDER  
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-13/7222  
24/07/2023

7222-15-13-2-202307241156



საქართველოს იუსტიციის მინისტრს  
ბატონ რატი ბრეგაძეს

### რ ე კ მ ე ნ დ ა ც ი ა

მსჯავრდებულ [REDACTED] დაგეგმილი სამედიცინო მომსახურების  
გაწევის დაჩქარების თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული  
შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგმავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის  
შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო რატი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა №2 პენიტენციურ  
დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის, [REDACTED]  
განცხადება და მისი ჯანმრთელობის პრობლემებთან დაკავშირებით გაწეული სამედიცინო  
მომსახურების ამსახველი შესაბამისი დოკუმენტები. შედეგად, დადგინდა, რომ  
მსჯავრდებულისთვის ექიმის მიერ რეკომენდებული ოპერაციული მკურნალობის  
ჩატარება ჭიანჭურდება.

### ფაქტობრივი გარემოებები

2023 წლის 23 თებერვალს, სახალხო დამცველის რწმუნებული შეხვდა და ესაუბრა №2  
პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს, [REDACTED]

შეხვედრის დროს, მსჯავრდებულმა განმარტა, რომ ბოლო 2 წლის განმავლობაში, აწუხებს  
ჯანმრთელობის პრობლემები, კერძოდ, აქვს დიდი ზომის კენჭი მარცხენა თირკმელში.  
2022 წლის 4 აპრილს დარეგისტრირდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის  
სამედიცინო დეპარტამენტის რეფერალის ელექტრონულ პროგრამაში, ლაზერული  
ლითოტრიპსიის ჩატარების მიზნით, თუმცა დაგეგმილი სამედიცინო მომსახურების  
მისაღებად შესაბამის კლინიკაში გადაყვანა განხორციელდა მხოლოდ 2023 წლის 18  
იანვარს, რა დროსაც, კენჭის ზომის 22 მილიმეტრამდე გაზრდის გამო, უარი ეთქვა  
ლაზერული ლითოტრიპსიის ჩატარებაზე. გაიცა პერკუტანული ნეფროლითოლაპაქსიის

---

საქართველო, თბილისი 0102, დავით აღმაშენებლის გამზირი N80,  
ცხელი ხაზი: 1481 (24/7); [www.ombudsman.ge](http://www.ombudsman.ge); ელ-ფოსტა: [info@ombudsman.ge](mailto:info@ombudsman.ge)  
80 David Agmashenebeli Avenue, Tbilisi 0102, Georgia,  
Hotline: 1481 (24/7); [www.ombudsman.ge](http://www.ombudsman.ge); E-mail: [info@ombudsman.ge](mailto:info@ombudsman.ge)

რეკომენდაცია. შედეგად, [REDACTED] კვლავ დარეგისტრირდა რეფერალის ელექტრონულ პროგრამაში და მის ხელთ არსებული ინფორმაციით, 2023 წლის 23 თებერვლის მდგომარეობით, პროგრამაში მისი რიგითი ნომერი იყო 66, რაც, მსჯავრდებულის ვარაუდით, დაგეგმილი ოპერაციის კვლავ გაჭიანურებაზე მიუთითებდა.

შეხვედრის დროს, [REDACTED] დამატებით აღნიშნა, რომ აწუხებს ძლიერი ტკივილი, უჭირს გადაადგილება და დროის ძირითად ნაწილს დაწოლილ მდგომარეობაში ატარებს. მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, ითხოვდა ოპერაციის დროულად ჩატარებას.

საკითხის დეტალურად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტს.<sup>1</sup>

სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული პასუხებით<sup>2</sup> გაირკვა, რომ თავდაპირველად, [REDACTED] ლითოტრიპსიის ჩატარების მიზნით, რეფერალის ელექტრონულ პროგრამაში დარეგისტრირდა 2022 წლის 4 აპრილს, თუმცა, 2023 წლის 18 იანვარს შ.პ.ს. „ლითოტრიფსიაში“ ჩაუტარდა საშარდე სისტემის ექსკოპია და უროლოგის კონსულტაცია. კენჭის ზომისა და სიმკვრივის გათვალისწინებით, გაიცა რეკომენდაცია, ჩატარდეს პერკუტანული ნეფროლითოლაპაქსია ენდოტრაქეალური ნარკოზით უროლოგიის ეროვნულ ცენტრში. აღნიშნულზე პაციენტი 2023 წლის 26 იანვარს, გეგმიური წესით, დარეგისტრირდა რეფერალის ელექტრონულ პროგრამაში. მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2023 წლის 14 მარტის მდგომარეობით, დაგეგმილი სამედიცინო მომსახურების მისაღებად, პროგრამაში მსჯავრდებულის რიგითი ნომერი იყო 55, ხოლო [REDACTED] მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტით,<sup>3</sup> 2023 წლის 2 ივნისის მდგომარეობით, მისი რიგითი ნომერი იყო 40.

2023 წლის 29 ივნისს მსჯავრდებულმა აცნობა სახალხო დამცველის რწმუნებულს, რომ 2023 წლის 19 ივნისს გადაიყვანეს სამოქალაქო სექტორის კლინიკაში ოპერაციის ჩატარების მიზნით, თუმცა ოპერაცია კვლავ გადაიდო იმის გამო, რომ [REDACTED] არ ჰქონდა ჩატარებული შესაბამისი კვლევა (კომპიუტერული ტომოგრაფია), რომლის გარეშეც ექიმმა უარი განაცხადა ქირურგიულ ჩარევაზე.

<sup>1</sup> საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 1 მარტის №15-13/2186 და 2023 წლის 20 მარტის №15-13/2817 წერილები.

<sup>2</sup> სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2023 წლის 14 მარტის №68844/01 და 2023 წლის 21 მარტის №77025/01 წერილები.

<sup>3</sup> სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2023 წლის 2 ივნისის №130351/01 წერილი.

## სამართლებრივი შეფასება

მიუხედავად პირის სოციალური და სამართლებრივი სტატუსისა, „ჯანმრთელობის უფლება“ წარმოადგენს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას და განსაკუთრებული ადგილი უკავია ჯანმრთელობის დაცვის ადეკვატური სტანდარტების ჩამოყალიბებაში.<sup>4</sup>

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ამ უფლების მნიშვნელობა თავისუფლებადკვეთილ პირებთან მიმართებაში. ციხის ევროპული წესების შესახებ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის Rec(2006)2 რეკომენდაციის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია თავისუფლებადკვეთილ პირთა ჯანმრთელობის დაცვის უფლება. იგი აღნიშნავს, რომ „თავისუფლებადკვეთილი პირები ინარჩუნებენ ყველა უფლებას, რაც კანონიერად არ ერთმევათ იმ გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლითაც მათ უსჯიან სასჯელს ან უფარდებენ პატიმრობას.“<sup>5</sup> უფრო მეტიც, სახელმწიფო ადამიანის ზრუნვაზე განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას იღებს, როცა მას თავისუფლებას ართმევს. თავისუფლებადკვეთილ პირებს სხვა ალტერნატივა არ გააჩნიათ, გარდა იმედის, რომ ხელისუფლება დაიცავს და ხელს შეუწყობს მათ ჯანმრთელობას. ჯანმრთელობის უფლების დასაცავად, საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, იზრუნოს როგორც პატიმართა საცხოვრებელ პირობებზე, ისე ინდივიდუალურ მკურნალობაზე, აუცილებლობის შემთხვევაში.<sup>6</sup>

პენიტენციურ სისტემაში ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების საერთაშორისო სტანდარტები ეფუძნება ადამიანის ღირსებისა და მის მიმართ ჰუმანური მოპყრობის პრინციპებს, რითაც ხაზს უსვამს პატიმრის უფლებას, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოებაში არსებული ეკვივალენტური ჯანდაცვის სისტემით. მას ხელი უნდა მიუწვდებოდეს ყველა იმ მომსახურებაზე, რომელიც საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემაშია დანერგილი.<sup>7</sup>

პენიტენციურ სისტემაში სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის, ადეკვატურობის ან/და დროულობის მიმართულებით არსებული პრობლემები არაერთხელ გახდა ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასების საგანი. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია პირდაპირ არ განსაზღვრავს ჯანმრთელობის დაცვის უფლებას, თუმცა სახელმწიფოები, რომლებიც პატიმრებს ან დაკავებულ პირებს არ უზრუნველყოფენ სათანადო ჯანდაცვით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ დაადანაშაულა მე-2 (სიცოცხლის უფლება) ან მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) დარღვევაში. გარდა ამისა, რიც შემთხვევებში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მოსთხოვა სახელმწიფოს, სასამართლო განხილვის პროცესშივე აღმოეჩინა ადეკვატური სამედიცინო დახმარება 39-ე წესის

<sup>4</sup> UN Office of the High Commissioner for Human Rights (OHCHR), Fact Sheet No. 31, The Right to Health, June 2008. ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3PR4Jlog> >; [ბოლოს ნანახია: 12.07.2023].

<sup>5</sup> ევროპული ციხის წესები 2006, ევროპის საბჭო, წესი №2

<sup>6</sup> გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №14: უფლება ჯანმრთელობის დაცვის უმაღლეს მიღწევად სტანდარტზე (პაქტის მე-12 მუხლი), 11.08.2000; ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3XPYIdi> >; [ბოლოს ნანახია: 12.07.2023].

<sup>7</sup> მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპული ციხის წესებთან დაკავშირებით, §40.2.

შესაბამისად (დროებითი ზომები), რითაც ხაზი გაუსვა არასათანადო მკურნალობის და ხელისუფლების ნელი რეაგირების მძიმე შედეგებს.

სასამართლოს მოსაზრებით, იმისთვის, რომ ადამიანის პატიმრობაში ყოფნა არ გაუტოლდეს ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის მინიმალურ ზღვარს და არ იმყოფებოდეს წამების, არაადამიანური ან/და დამამცირებელი მოპყრობის პირობებში, სამედიცინო პერსონალის მხრიდან უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყოველმხრივი თერაპიული სტრატეგიით, რომელიც მიმართულია და ადეკვატურად აგვარებს პატიმრის ჯანმრთელობის პრობლემებს ან აღკვეთს მათ გაუარესებას, იმის ნაცვლად, რომ მათზე სიმპტომურად რეაგირებდეს.<sup>8</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი მე-3 მუხლის ბევრი დარღვევა ჯანდაცვის მეორეული დონის ხელმისაწვდომობის შეფერხებასა და სირთულეებს ეხება. მათ შორის, რამდენიმე საქმე ეხება კონკრეტულად ქირურგიული ოპერაციის დიდი დროით გადადებას, რაც ხანგრძლივ და არასაჭირო ტანჯვას იწვევს; მაგალითად, თირკმელებში მრავლობითი ქვების მქონე პაციენტს, რომელსაც მწვავე ტკივილის ხშირი ეპიზოდები აღენიშნებოდა, ოთხი წლის მანძილზე ოპერაციის გაკეთებაზე უარს ეუბნებოდნენ;<sup>9</sup> დაგეგმილი ოპერაცია ერთი წლით დაგვიანებით ჩატარდა.<sup>10</sup>

პენიტენციურ სისტემაში სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით არსებული საერთაშორისო სტანდარტის გარდა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი მიდგომები თავისუფლებადაკვეთილ პირებთან მიმართებაში.

„პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს სამედიცინო მომსახურების ყველა გამწვევისაგან მიიღოს ქვეყანაში აღიარებული და დანერგილი პროფესიული და სამომსახურეო სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო მომსახურება. ამასთან, პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირი სარგებლობს ამ კანონით გათვალისწინებული ყველა უფლებით.<sup>11</sup>

ეროვნული კანონმდებლობა ასევე ეფუძნება ეკვივალენტურობის პრინციპს, რაც გამოიხატება იმაში, რომ სამედიცინო პერსონალი უნდა უზრუნველყოფდეს მკურნალობის, მოვლისა და რეაბილიტაციის იმავე სტანდარტს, რომელიც ხელმისაწვდომია სამოქალაქო ჯანდაცვის სექტორში.<sup>12</sup>

<sup>8</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *Bujak v. Poland*, №686/12, § 68.

<sup>9</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *Pilčić v. Croatia*, №33138/06, §§38-43.

<sup>10</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Kotsaftis v. Greece*, №39780/06; §61.

<sup>11</sup> „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 46.

<sup>12</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 18 თებერვლის №381 ბრძანება „პენიტენციურ დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების სტანდარტების, სპეციფიკური საჭიროებების მქონე პირთა სამედიცინო მომსახურების დამატებითი სტანდარტების, პენიტენციურ დაწესებულებაში პრევენციული

რაც შეეხება სამედიცინო მომსახურების ვადებს, „პენიტენციურ დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების სტანდარტების, სპეციფიკური საჭიროებების მქონე პირთა სამედიცინო მომსახურების დამატებითი სტანდარტების, პენიტენციურ დაწესებულებაში პრევენციული მომსახურების პაკეტისა და პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის ბაზისური მედიკამენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 15 თებერვლის №381 ბრძანების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოლოდინის პერიოდი გეგმურ მომსახურებაზე, სამედიცინო საჭიროებიდან გამომდინარე განისაზღვრება გონივრული ვადით, რაც გეგმურ სტაციონარულ მომსახურებაზე არ უნდა აღემატებოდეს 4 თვეს, ხოლო გეგმიურ ამბულატორიულ მომსახურებაზე - 1 თვეს.

### **წინამდებარე საქმის ანალიზი**

დაკავშირებით სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული წერილები და მსჯავრდებულისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ამსახველი დოკუმენტაცია დეტალურად შეისწავლა სახალხო დამცველის აპარატი დასაქმებულმა ექიმმა, მედიცინის დოქტორმა, [REDACTED]

მისი პოზიციით, ევროპის უროლოგთა ასოციაციის<sup>13</sup> მიერ შარდკენჭოვანი დაავადების მკურნალობის გაიდლაინის მიხედვით,<sup>14</sup> აქტიური ქირურგიული ჩარევის ჩვენებას წარმოადგენს ქვემოთ ჩამოთვლილი სიმპტომებიდან ერთ-ერთის არსებობა: თირკმელში არსებული კენჭის ზრდა, 15 მმ-ზე უფრო დიდი ზომის კენჭი, ტკივილი, ჰემატურია, კენჭით გამოწვეული ობსტრუქცია და ა. შ.

იმის გათვალისწინებით, რომ [REDACTED] აღენიშნება ყველა ეს სიმპტომი,<sup>15</sup> მათ შორის, კენჭის ინტენსიური ზრდა, სახალხო დამცველის აპარატი დასაქმებული ექიმი მიიჩნევს, რომ შემდგომი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია დაგეგმილი ოპერაციის, რაც შეიძლება, მოკლე დროში ჩატარება.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2022 წელს, დაავადების დიაგნოსტიკებისა და ოპერაციის ჩატარების მიზნით რეფერალის ელექტრონულ პროგრამაში პაციენტის რეგისტრაციის შემდგომ, მოცდის პერიოდმა გადააჭარბა კანონმდებლობით გათვალისწინებულ 4 თვეს და [REDACTED] კლინიკაში, მხოლოდ 8 თვის შემდგომ გადაიყვანეს. რაც შეეხება 2023 წელს განხორციელებულ განმეორებით დიაგნოსტიკებასა და რეგისტრაციას, დღეის მდგომარეობით, მოცდის პერიოდი კვლავ 4 თვეს აჭარბებს.

---

მომსახურების პაკეტისა და პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის ბაზისური მედიკამენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“, დანართი N1, მუხ. 3, ქვეპუნქტ. „ბ“ და „თ“

<sup>13</sup> The European Association of Urology, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3rfaNN1> >; [ბოლოს ნანახია: 12.07.2023].

<sup>14</sup> European Association of Urology Guidelines on Urolithiasis, (Update March 2023), p.349, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/44mSEvr> >; [ბოლოს ნანახია: 12.07.2023].

<sup>15</sup> შ.პ.ს. „ლითოტრიპსიის“ მიერ 2023 წლის 18 იანვარს გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ №73.

## დასკვნა

ამრიგად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დაჩქარდეს მსჯავრდებულ [REDACTED] [REDACTED] დაგეგმილი სამედიცინო მომსახურება. აღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ რეკომენდაციით, [REDACTED] [REDACTED] მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადაში ჩაუტარდეს რეკომენდებული ოპერაციული მკურნალობა.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული რეკომენდაციის განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ლევან იოსელიანი

სახალხო დამცველი

